ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ბრძანება
G E O R G I A
CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY
ORDER

ბრძანება:**ბ135. 135231222**
თარიღი:**02/05/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზაურ ჩართოლანის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილებისა და 02/05/2023 წლის განკარგულება:გ-135. 135231221,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების, სახელწოდებათა ნორმალიზების,რეგისტრაცია აღრიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის და პერსონალური შემადგენობის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.მივლინებულ იქნას, ჭუბერის ტერიტორიულ ერთეულში, მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების, სახელწოდებათა ნორმალიზების,რეგისტრაცია აღრიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საველე საქმიანობის განსახორციელებლად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაურ ჩართოლანი 1 (ერთი) დღის ვადით ა/წლის 3 მაისს.

2. განისაზღვროს, ავტომობილ **,,LAND KRUIZER'' სახ: XX-919-XF**–მესტია-ჭუბერი–მესტია მგზავრობისთვის საჭირო ბენზინი 40 ლიტრით.

3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს ერთი დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.

4. დაევალოს მესტიის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.

5. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი